სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14635913001216

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161401582

რეგისტრაციის თარიღი

08.12.2016 წ

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია
მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
ტელეფონი: 593 127322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თექვსმეტი წლის რვა დეკემბერს მე, ქეთევან გრიგოლიას ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, მესამე სართულზე, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით და პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის გამოყენებით დამიკავშირდა **ბექა ქარსიძე,** რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება ყაზახეთში, ქ. ალმაატა, მინდიკულოვას ქუჩა №45, ბინა №28 და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს თანხმობა და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით (სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად) და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: **ბექა ქარსიძემ** (დაბ. 28.08.1972წ., თბილისში, პასპორტი №11AB92756, პირადი №65001000157, გაც. 09.01.2014წ., იუსტიციის სამინისტროს მიერ, პირადი განცხადებით მცხ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. 118, ამჟამად მცხოვრები ყაზახეთში, ქ. ალმაატა, მინდიკულოვას ქუჩა №45, ბინა №28).

სანოტარო მოქმედების შესრულებას **ბექა ქარსიძის** თხოვნით ესწრებოდნენ: **გიორგი ღლონტი** (დაბ. 25.03.1972წ., თბილისში, პირადობის მოწმობის №11IB55660, პირადი №01008001232, გაც. 03.02.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. 9, ბინა 31), როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **დავით ბურჭულაძე** (დაბ. 17.09.1980წ., თბილისში, პირადობის მოწმობის №13IM16594, პირ. № 01007006121, გაც. 10.06.2015წ., იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ. თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. 18), როგორც „მოწმე".

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და განვუმარტე, რომ:

მოწმე სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო აქტის მონაწილე, რომელიმე მხარისა და/ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით.

სანოტარო მოქმედების მონაწილეებს, რომელებიც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული თანხმობის ჩაწერას ესწრებოდნენ მოწმის და ხელმოწერი პირის სტატუსით და ადასტურებენ იმ ფაქტს რომ იცნობენ „განცხადებელს" განვუმარტე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც გამოწვეულ იქნება ცრუ ჩვენების, თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნისა და/ან ყალბი დასკვნის მიცემით, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 348[1] მუხლისა, რომლის დროსაც ცრუ ჩვენების მიმცემი პირი "ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე".

შენიშვნა: "მოწმე, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს თავის ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემის ან/და განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ".

განმცხადებელმა და მოწმემ განაცხადეს, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და დადასტურების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც **ბექა ქარსიძემ** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის თანხმობა, **ბექა ქარსიძის** ნების გამოვლენის ნამდვილობისა და განცხადების შინაარსის-დადგენის შემდეგ შევადგინე შემდეგი აქტი:

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

1. ორი ათას თექვსმეტი წლის რვა დეკემბერს **მე, ბექა ქარსიძე** თანხმობას ვაცხადებ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №86, (საკადასტრო კოდი 01.13.02.007.001), რომელზეც შეთანხმებულია მშენებლობის ნებართვა ჩემს მიერ შექმნილი პროექტის მიხედვით **შპს დეკორუმის (ს/ნ 401950965)** დირექტორმა, **გიორგი მედულაშვილმა** (პ/ნ 01018000196) მოახდინოს არქიტექტურის პროექტის კორექტირება, მისი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით.

2. ბექა ქარსიძემ განაცხადა, რომ მის ნაცვლად თანხმობას ხელი მოაწეროს **გიორგი ღლონტმა,** ხოლო ყოველივე ზემოთ თქმული დაადასტუროს „მოწმემ" **დავით ბურჭულაძემ.**

3. წინამდებარე თანხმობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის და ვიზუალური კონტაქტის საშუალებით წავუკითხე და განვუმარტე განმცხადებელს და დამსწრე პირებს. განმცხადებელმა დამიდასტურა, რომ თანხმობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას, თანხმობის დადასტურების დროს იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ. სანოტარო მოქმედების შესრულებას **გიორგი ღლონტი** და **დავით ბურჭულაძე** ესწრებოდნენ სანოტარო მოქმედების დაწყებიდან (ნოტარიუსის მიერ საბუთის წაკითხვის ჩათვლით) სანოტარო მოქმედების სრულად დასრულებამდე.

4. გიორგი ღლონტმა და დავით ბურჭულაძემ წაიკითხეს წინამდებარე აქტი, განაცხადეს, რომ აქტ
ზუსტად ასახავს მათ თანდასწრებით მომხდარ ფაქტებს, რაც ასახულია წინამდებარე აქტში და ჩემ
თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე აქტს.

5. სანოტარო მოქმედების ჩაწერა განხორციელდა ვიდეო ფაილის სახით, რომელიც ინახე
სანოტარო ბიუროს არქივში.

6. თანხმობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი
ინახება ქეთევან გრიგოლიას სანოტარო საქმეებში, ხოლო ორი გადაეცა გიორგი ღლონტს.

7. ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ - 50 (ორმოცდაათი) ლარი - მუხლი 32 + დღგ 9 (ცხრა) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 61 (სამოცდაერთი) ლარი.

8. ყოველივე ზემოთ თქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

ხელს აწერს გიორგი ღლონტი
განმცხადებლის ნაცვლად მისივე თხოვნით

ხელს აწერს დავით ბურჭულაძე
„მოწმე“

ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია